ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეფექტური მექანიზმების მნიშვნელობა

რამაზ ოთინაშვილი – სტუ-ს სრული პროფესორი

გიორგი ჭურდიანი – სტუ-ს დოქტორანტი

ინტელექტუალური საკუთრება შეგვიძლია თამამად მივაკუთვნოთ იმ განსაკუთრებულ სფეროთა რიცხვს, რომლის დაცვა ერთდროულად ემსახურება როგორც კერძო პირის და ბიზნესის, ასევე ქვეყნის ეროვნულ და გლობალურ ინტერესებს. ის აგრეთვე მიეკუთვნება საკითხების იმ კატეგორიას, რომლის მიზანი ყველა ზემოაღნიშნული სუბიექტისათვის ერთია - დაიცვას ინტელექტუალური საკუთრება და ამით უზრუნველყოს საკუთარი უფლებების დაცვა. შედეგად კი მიიღოს მატერიალური ან/და არამატერიალური სარგებელი. ამდენად, *ინტელექტუალური საკუთრების დაცვა საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების განუყოფელი ნაწილია.*

ინტელექტუალური საკუთრების მფლობელის უფლების დაცვა გარანტირებულია საქართველოს კანონმდებლობით - სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული სამართლისა და საბაჟო კოდექსების მიხედვით. მიუხედავად ამისა, ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა მსოფლიოში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ინდექსით.[1]

საქართველო 130 ქვეყანას შორის 112 ადგილს იკავებს.[2] მიუხედავად იმისა, რომ 2010 წლიდან 2013 წლამდე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ინდექსი გაიზარდა 0,8%-ით, 2012-2013 წლებში აღნიშნული ინდექსი - 4,2 თითქმის უცვლელი დარჩა.

საქართველოში პრობლემა არა იმდენად კანონმდებლობის მოქნილობაშია, არამედ მის აღსრულებაში. მსოფლიოს ბევრ განვითარებულ ქვეყანას ჰყავს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პოლიცია. საქართველოში ეს მოვალეობები გადანაწილებულია რამოდენიმე ნაკლებადკოორდინირებულ სტრუქტურას შორის. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო 3-4 წლის განმავლობაში შეინიშნება წინსვლა აღსრულების კუთხით. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ კომპანია „Hidelberg" ცემენტის უფლების დარღვევა, როდესაც საქართველოს ბაზარზე ხდებოდა აღნიშნული სასაქონლო ნიშნის მქონე ცემენტის მასობრივი გაყალბებული წარმოება.

მოწინავე ქვეყანები ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ინდექსის მიხედვით

	ქ ვ ე ყ ა ნ ა	ინდექსი
1	ფინეთი	8.6
2	ახალი ზელანდია	8.4
3	შვედეთი	8.4
4	ნორვეგია	8.3
5	ნიდერლანდები	8.2
6	შვეიცარია	8.2
7	ლუქსემბურგი	8.1
8	სინგაპური	8.1
9	კანადა	8.0
10	დანია	8.0

[1] http://www.internationalpropertyrightsindex.org/ranking

[2] იქვე.

ჩვენს ბაზარზე აგრეთვე მასშტაბურად რეალიზდება სხვადასხვა ცნობილი პარფუმერული კომპანიის გაყალბებული პროდუქცია.

საქართველოსთვის, როგორც ქვეყნისთვის, რომლის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია წარმოადგენს, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გამართული სისტემის არსებობა პირდაპირ კავშირშია მის პრესტიჟთან და დასავლეთის, როგორც მოწინავე ქვეყნებთან, ისე ცალკეულ კომპანიებთან თანამშრომლობასთან.

ცნობილია, რომ საქართველოს სახელმწიფო უწყებები ჯერ კიდევ გამოიყენებენ არალეგალურ კომპიუტერულ პროგრამებს. მაგალითად, იცროსოფტ-ის წარმომადგენლობა უკვე წლებია საქართველოს მთავრობისგან მოითხოვს ლიცენზირებულ პროგრამებზე გადასვლას. აღნიშნული დაკავშირებულია Microsoft-ის ლიცენზირებული პროგრამის შესყიდვასა და დაინსტალირებასთან. ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხი აგრეთვე გათვალისწინებულია საქართველოს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულებაში და ჩვენი ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციის ერთ-ერთი წინაპირობაა.

ინტელექტუალური საკუთრების ეფექტური გამოყენება და მისი დაცვა მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე და შესაბამისად ხალხის კეთილდღეობაზე. მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების ეკონომიკები დაფუძნებულია მათი პატენტების, სასაქონლო ნიშნების და საავტორო უფლებების შესაბამის აღსრულებაზე. როდესაც მომხმარებლები იყენებენ ინტელექტუალურ საკუთრებას, იზღვევენ თავს, რომ ისინი იძენენ უსაფრთხო, ხარისხიან და გარანტირებულ ნაწარმს.

განვითარებულ ქვეყნებთან ერთად მრავალი განვითარებადი ქვეყანა მნიშვნელოვნად თვლის ინტელექტუალური საკუთრების დაცვას, როგორც ქვეყნის შიგნით ისე მის ფარგლებს გარეთ, შემდეგი მიზეზების გამო:

1. ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეფექტური სისტემა ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდასა და კონკურენციის განვითარებას, როგორც კონკრეტულ ქვეყანაში, ისე გლობალურად. ნიშანდობლივია, რომ შესაძლებელია ქვეყნის ინტელექტუალური საკუთრების ღირებულების გაზომვა მიახლოებით. ასე მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების გათვლებით, აშშ-ის ინტელექტუალური საკუთრება შეადგენს 5.8 ტრილიონ აშშ დოლარს.[3] ასევე მიახლოებით განსაზღვრულია, რომ იმ ინდუსტრიულ სახელმწიფოებში, რომელთაც ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მაღალი დონე გააჩნიათ, საშუალოდ ქვეყნის მშპ-ს 1/3-ს ანუ 38%-ს შეადგენენ.[4]

2. კონკურენციას უწყობს ხელს პატენტის გასხვისების შედეგად ინოვაციებზე ინფორმაციის გავრცელება, რაც მეტ სტიმულს აძლევს სხვა ფირმებს განვითარდნენ და უკეთესი ინოვაციები დანერგონ ამა თუ იმ სფეროში. ***ინტელექტუალური საკუთრების დაცვის წყალობით გამომგონებლისთვის მინიჭებული უპირატესობებისა და უფლებების უზრუნველყოფის გარეშე, ბაზარი ეფექტურად ვერ მუშაობს. ეს იქნება სამყარო სადაც ყველას შეეძლება „ახლიდან გამოიგონოს ველოსიპედი”,*** მაშინ როდესაც მსოფლიოში უსაზღვროა პროგრესისა და განვითარების პოტენციალი;

3. ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და აღსრულების ძლიერი სისტემა იცავს მომხმარებელს. ინტელექტუალური საკუთრების უფლებები ხელს უწყობენ მომხმარებლებს გააკეთონ სწორი არჩევანი უსაფრთხოების, სანდოობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით. ინტელექტუალური საკუთრების კარგად დაცული სისტემა იძლევა იმის გარანტიას, რომ სარეალიზაციოდ გაშვებული საქონელი არის ორიგინალი და იმ ხარისხის, რომელსაც მომხმარებელი მოელის და ირჩევს; უფრო მეტიც, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სისტემები ხელს უწყობენ მომხმარებელთა მოთხოვნის სწორ ფორმირებას.

4. ინტელექტუალური საკუთრება ქმნის მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილებს. აღნიშნული საკუთრების ეფექტურად დამცველ ქვეყნებში სამუშაო ადგილები იზრდება გაცილებით მაღალი ტემპით, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც ფალსიფიკაციას და გაყალბებებს აქვს ადგილი. უფრო მეტიც, ქვეყნებში სადაც ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სისტემა ძლიერია, საშუალო ხელფასები მინიმუმ 30%-ით უფრო მაღალია, ვიდრე სხვა ქვეყნებში;

[3] აშშ-ის საპატენტო და სასაქონლო ნიშნების ოფისი,http://www.uspto.gov/news/publications/IP_Report_March_2012.pdf, nanaxia 1.12.2014

[4] გლობალური ინტელექტუალური საკუთრების ცენტრი. „ინტელექტუალური საკუთრება ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს ამერიკისთვის”, *მაისი 2012.*

5. ინტელექტუალური საკუთრება ხელს უწყობს გლობალური გამოწვევებისათვის საჭირო გადაწყვეტილებების აღმოჩენას. მაგალითად, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ძირითადი მედიკამენტების სიის 300 ჩამონათვალზე მეტი შექმნილია კვლევისა და განვითარების კუთხით იმ ძლიერი ფარმაცევტული ინდუსტრიების მიერ, რომლებიც ეყრდნობიან პატენტების დაცვის სისტემას. ეს იმ მედიკამენტების ნუსხაა, რომლებზეც ადამიანების სიცოცხლე ან მათი ჯანმრთელობის გაუმჯობესებაა დამოკიდებული. მაგალითად, სოფლის მეურნეობის სფეროში ინოვატორი აგრარული ბიზნეს-კომპანიები ქმნიან ახალ ნაწარმს, რათა დაეხმარონ ფერმერებს მეტი და უკეთესი პროდუქტები აწარმოონ;

5. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა ასტიმულირებს ინოვაციებს. აღნიშნული საკუთრების დაცვის კარგი სისტემა მეტ სტიმულს აძლევს კომპანიებსა და ფიზიკურ პირებს საკუთარ თავზე აიღონ გამოგონების რისკი. ამარტივებს უკვე დაცული და დაპატენტებული ინოვაციების შესახებ ინფორმაციის მიმოცვლას გამომგონებლებს შორის. აღნიშნული პროცესი ბიძგს აძლევს ახალი ინოვაციების დანერგვას და აუმჯობესებს არსებულს;

6. ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მოქნილი სისტემა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ინტერესების დაკმაყოფილებას. როგორც კერძო საკუთრების უფლება იცავს პირის უფლებას ისეთი კონკრეტული საკუთრების ობიექტებზე, როგორიცაა: მიწა ან ავტომობილი. ასევე ინტელექტუალური საკუთრების უფლება იცავს პირის ან ბიზნესობიექტის უფლებას იდეებზე, ინოვაციებზე და ა.შ. შესაბამისი კანონმდებლობისა და ამ უფლებების აღსრულების გარეშე, საზოგადოებას გაუჭირდება პროგრესული განვითარება. მნიშვნელოვანია დაცულ იქნას ბალანსი გამომგონებლის ან ავტორის ინტერესებსა და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის, რაც ეროვნულ და საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებშია დარეგულირებული. მაგალითად, განვიხილოთ პატენტი სასიცოცხლო მნიშვნელობის მედიკამეტზე. თუ მედიკამენტის გამომგონებელს აქვს უფლება გამოგონებაზე. საზოგადოებას აქვს უფლება მის შეძენაზე. სწორედ ინტელექტუალური საკუთრების ფუნქცია და მისიაა ჰარმონიზაცია მოახდინოს და დააბალანსოს მხარეთა ინტერესები კანონის ფარგლებში.

საქართველოში, როგორც ევროკავშირში გაწევრიანების სურვილის მქონე ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხები სულ უფრო მზარდ მნიშვნელობას იძენს. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში დაიხვეწა შესაბამისი კანონმდებლობა და ჩამოყალიბდა მისი დაცვისა და აღსრულების პროცედურები. მიუხედავად ამისა, ჩვენი ბაზარი გაჯერებულია ფალსიფიცირებული პროდუქციით. შედეგად, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ინდექსით არცთუ სახარბიელო ადგილზე ვართ მსოფლიოში. ამიტომ, საჭიროა სიღრმისეულად შეისწავლოს ქართული ბაზრის თავისებურებები, გამოვლინდეს ხარვეზები ამ სფეროში და ჩამოყალიბდეს მოწინავე მიდგომები აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

IMPORTANCE OF INTELLECTUAL PROPERTY PROTECTION EFFECTIVE MECHANISMS

RAMAZ OTINASHVILI – Professor of GTU
GIORGI KURDIANI – The seeker of doctor's degree of GTU

Article discusses Intellectual Property Protection as an inalienable part of economic, social and cultural development of a country. According to the world intellectual property protection index Georgia ranks one of the last on the list. Our issue is not legislation, but rather an effective implementation of it.

The article analyzes the importance of the intellectual property protection and develops the following arguments: intellectual property creates high salary jobs; stimulates economic growth and competition; protects consumer and supports creation of solutions to global challenges. Existence of an effective system for protection of intellectual property rights stimulates innovations and supports the interests of the society.

It is highly important to explore the peculiarities of the Georgian market, identify the shortfalls in intellectual property protection legislation and implementation process and develop modern approaches to resolve these shortfalls.